პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

  თერმო ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე (https://thermocenter.ge/) პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა (შემდგომ - პოლიტიკა) აღწერს შპს თერმო ცენტრის (საიდენტიფიკაციო კოდი 404872401, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, შალვა გოგიძის ქ. N6) ვებგვერდის (შემდგომ - ვებგვერდი) მეშვეობით, ვებგვერდის მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და გამოყენების პრინციპებს, მიზანსა და წესებს.

პოლიტიკაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მნიშვნელობა.

თერმო ცენტრის ვებგვერდზე წესებისა და პირობების თანხმობის ელექტრონულად მონიშვნით/აღიარებით მომხმარებელი ადასტურებს, რომ ეთანხმება კომპანიის პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკას, მომხმარებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია წარმოადგენს ზუსტ და უტყუარ მონაცემებს. ინფორმაციის მოწოდება განხორციელდა მომხმარებლის ნების გამოხატვით და ამისათვის მას გააჩნია კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა უფლება და ნებართვა.

ვებგვერდის წესებსა და პირობებზე თანხმობის ელექტრონულად მონიშვნით/აღიარებით მომხმარებელი თანხმობას აცხადებს, რომ უფლებამოსილებას ანიჭებს შპს თერმო ცენტრს, მასზე, რომ „კომპანიის“ მიერ მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში მომხმარებლის იდენტიფიკაციის, ვერიფიკაციის, გადამოწმების, შედარების, ანალიზის, საკანონმდებლო ან/და სახელშეკრულებო ვალდებულებ(ებ)ის შესრულების მიზნებისთვის გამოთხოვილ და მიღებულ იქნას ინფორმაცია მის შესახებ, მათ შორის პერსონალური მონაცემები.

1. ტერმინთა განმარტება

პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნებისთვის აღნიშნულ დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ვებგვერდი - კომპანიის ვებგვერდი, დომეინით https://thermocenter.ge/)

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი: საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება თერმო ცენტრი (ს/კ 404872401) რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას;

პერსონალური მონაცემი- ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით;

მონაცემთა სუბიექტი- ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება;

მონაცემთა სუბიექტის თანხმობა- მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე აქტიური მოქმედებით, წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) ან ზეპირად, თავისუფლად და მკაფიოდ გამოხატული ნება;

პირდაპირი მარკეტინგი – ტელეფონის, ფოსტის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის პირდაპირი და უშუალო მიწოდება ფიზიკური პირის ან/და იურიდიული პირის, საქონლის, იდეის, მომსახურების, სამუშაოს ან/და წამოწყების, აგრეთვე საიმიჯო და სოციალური თემატიკისადმი ინტერესის ფორმირების, შენარჩუნების, რეალიზაციის ან/და მხარდაჭერის მიზნით. პირდაპირ მარკეტინგად არ ჩაითვლება სახელმწიფო დაწესებულების მიერ ფიზიკური პირისთვის

ინფორმაციის მიწოდება, თუ ამ ინფორმაციის მიწოდება თავსებადია ამ კანონის მე-5 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებულ მონაცემთა დამუშავების რომელიმე საფუძველთან;

2. მონაცემების დამუშავების მიზნები, პრინციპები და საფუძვლები:

2.1 თერმო ცენტრი წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილ იურიდიულ პირს, რომელიც საქართველოს ბაზარზე 2001 წლიდან ოპერირებს გათბობის, გაგრილების, წყალმომარაგებისა და სავენტილაციო სისტემების მიმართულებით.კომპანია პერსონალური მონაცემების დამუშავებას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, კლიენტის მომსახურების გაწევისა და გაწეული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.

2.2 კომპანიის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით ან პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობით.

2.3 თერმო ცენტრში პერსონალური მონაცემების დამუშავება შესაძლებელია მხოლოდ კანონით გათვალისწინებული შემდეგი პრინციპების დაცვით:

2.3.1 მონაცემები მუშავდება კანონიერად, სამართლიანად, მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ და მისი ღირსების შეულახავად;
2.3.2 მონაცემები გროვდება მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისთვის. დაუშვებელია მონაცემთა დამუშავება მონაცემების დამუშავების თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით;
2.3.3 მონაცემები მუშავდება მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად;
2.3.4 მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი, ზუსტი და საჭიროების შემთხვევაში განახლებული. მონაცემთა დამუშავების მიზნის გათვალისწინებით არაზუსტი მონაცემები უნდა გასწორდეს, წაიშალოს, წაიშალოს ან განადგურდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე;
2.3.5 მონაცემები შენახულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად;
2.3.6 მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავებისას მიღებული უნდა იყოს ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, მათ შორის უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან ან/და დაზიანებისგან;
2.3.7 მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების საფუძველზე მისთვის მომსახურების გაწევის მიზნით;
2.3.8 კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

2.6 მონაცემთა დამუშავება დაშვებულია, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი:
2.6.1 მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა თანხმობა მის შესახებ ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე;
2.6.2 მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით გარიგების დასადებად;
2.6.3 მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
2.6.4 მონაცემთა დამუშავება საჭიროა კომპანიის მიერ, სუბიექტმა თავად გახადა იგი საჯაროდ ხელმისაწვდომი;
2.6.5 მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;
2.6.6 კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, მათ შორის, ეპიდემიის მონიტორინგის ან/და მისი გავრცელების აღკვეთის, ჰუმანიტარული კრიზისების, ბუნებრივი და ადამიანის მოქმედებით გამოწვეული კატასტროფების სამართავად;
2.6.7 მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;
2.6.8 მონაცემთა დამუშავება აუცილებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის (მათ შორის, არასრულწლოვანის) უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი.
2.6.9 მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად).

2.6.10 დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით. კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს.

3. ვებგვერდის მეშვეობით დამუშავებული მონაცემები

ვებგვერდის მეშვეობით დამუშავებული მონაცემები თავად ვებგვერდის მომხმარებლების მიერაა მოწოდებული. ვებგვერდის მეშვეობით გროვდება შემდეგი მონაცემები:

სახელი და გვარი
პირად ნომერი
ელექტრონული ფოსტა
დაბადების თარიღი
ტელეფონის ნომერი
ინფორმაციას განთავსებული შეკვეთების შესახებ
მიწოდების მისამართი

4. ვებგვერდის მომხმარებლის უფლებები:

4.1 ვებგვერდის მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს და უსასყიდლოდ მიიღოს შემდეგი ინფორმაცია:

ა. მუშავდება თუ არა მის შესახებ მონაცემები, დასაბუთებულია თუ არა მონაცემთა დამუშავება;

ბ) იმ მონაცემის თაობაზე, რომელიც მუშავდება, აგრეთვე ამ მონაცემის დამუშავების საფუძვლისა და მიზნის შესახებ;

გ) მონაცემთა შეგროვების/მოპოვების წყაროს შესახებ;

დ) მონაცემთა შენახვის ვადის (დროის) შესახებ, ხოლო, თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე;

ე) მონაცემთა მიმღების ვინაობის ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია მონაცემთა გადაცემის საფუძვლისა და მიზნის თაობაზე, თუ მონაცემები მესამე პირს გადაეცემა;

ვ) გაეცნოს თერმო ცენტრში მის შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მონაცემთა გაცნობისთვის ან/და მონაცემთა ასლების გაცემისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საფასური;

ზ. მოითხოვოს მის შესახებ არსებული მონაცემების გასწორება, განახლება, შევსება, დაბლოკვა, დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება იმ შემთხვევაში, თუ მონაცემები არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ;

თ. გამოიხმოს თანხმობა - განმარტების გარეშე ნებისმიერ დროს განაცხადოს უარი მის მიერ მიცემულ თანხმობაზე და მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებულ მონაცემთა განადგურება (თუ არ არსებობს მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი);

ი. გააასაჩივროს - თუ მიიჩნევს, რომ თერმო ცენტრის მიერ მონაცემთა დამუშავება არ შეესაბამება კანონით დადგენილ წესებს. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში, კანონით დადგენილი წესით მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, სასამართლოს ან /და ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.

5. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება

5.1 განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის თერმო ცენტრის მიერ დამუშავება არ ხდება. თუმცა თუ საჭირო გახდა ასეთი მონაცემების დამუშავება ის მოხდება მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ინტერესების დაცვით და იმ შემთხვევაში, თუ დამუშავებისთვის არსებობს ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი:

ა) მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა წერილობითი თანხმობა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე;

ბ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება პირდაპირ და სპეციალურად რეგულირდება კანონით და მათი დამუშავება აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში;

გ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და მონაცემთა სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არ აქვს, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე განაცხადოს თანხმობა;

დ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პრევენციული, პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური, სამკურნალო, სარეაბილიტაციო და პალიატიური მზრუნველობის, მომსახურების, სამედიცინო მოწყობილობების და პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვის მიზნებით საქართველოს კანონმდებლობის ან ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტთან დადებული ხელშეკრულების (თუ ამ მონაცემებს ამუშავებს პირი, რომელსაც პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულება ეკისრება) შესაბამისად;

ე) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაცვის სფეროში, მათ შორის, სოციალური უზრუნველყოფის სისტემისა და მომსახურების მართვისთვის საქართველოს კანონმდებლობით დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად ან მონაცემთა სუბიექტის კონკრეტული უფლებების განსახორციელებლად;

ვ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

ზ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება აუცილებელია შრომითი ვალდებულებებისა და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ან დასაქმებულის შრომითი უნარების შესაფასებლად;

თ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;

ი) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის ფუნქციონირების მიზნით;

კ) მონაცემთა სუბიექტმა გამოყენების აშკარა აკრძალვის დათქმის გარეშე საჯარო გახადა თავისი მონაცემები;

ლ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში.

6. პერსონალურ მონაცემთა კატეგორია და მისი დამუშავება

6.1 თერმო ცენტრი ახდენს ძირითადად რამდენიმე კატეგორიის პერსონალური მონაცემების შეგროვებას და დამუშავებას. კერძოდ: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი, რომლის გამოყენებითაც ხორციელდება თერმო ცენტრის კუთვნილ ვებგვერდზე/აპლიკაციაში შესვლა.

6.2 პერსონალური მონაცემების დამუშავება გულისხმობს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით პირის პერსონალური მონაცემების შეგროვებას, ჩაწერას, ფოტოზე აღბეჭდვას, აუდიოჩაწერას, ვიდეოჩაწერას, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას.

6.3 პერსონალური მონაცემები ძირითადად მუშავდება თერმო ცენტრის მიერ მომხმარებლისთვის ნასყიდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის სერვისის გაწევის დროს, მომხმარებლის განაცხადის განხილვის დროს, სხვადასხვა სახის/შინაარსის სახელშეკრულებო ურთიერთობების შესრულების, დასაქმების, პირდაპირი მარკეტინგის მიზნით;

6.4 პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა, მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით და/ან მონაცემთა დამუშავება

საჭიროა თერმო ცენტრის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად.

6.5 კომპანიამ შეიძლება დაამუშაოს მონაცემები მომსახურების საჭიროებიდან გამომდინარე ან მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში სხვა მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის დახმარებით და მასთან დადებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს თერმო ცენტრის მკაცრად დადგენილ სტანდარტებს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

7. პერსონალური მონაცემების დამუშავება პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის

7.1 კომპანიის მიერ პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა სუბიექტის მონაცემების დამუშავება ხდება მხოლოდ მისი თანხმობის საფუძველზე.

7.2 მონაცემთა სუბიექტის სახელის, გვარის, მისამართის, ტელეფონის ნომრისა და ელექტრონული ფოსტის მისამართის გარდა, პირდაპირი მარკეტინგის მიზნით კომპანიის მიერ სხვა მონაცემთა დამუშავება ხდება მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

7.3 კომპანია მონაცემთა სუბიექტის თანხმობის მიღებამდე მომხმარებელს მარტივ და გასაგებ ენაზე აწვდის თანხმობის ნებისმიერ დროს გამოხმობის უფლების და ამ უფლების განხორციელების მექანიზმის/წესის შესახებ ინფორმაციას.

7.4 თერმო ცენტრი ვალდებულია უსასყიდლოდ შეწყვიტოს მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავება ან/და უზრუნველყოს უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავების შეწყვეტა გონივრულ ვადაში, მაგრამ მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა.

7.5 მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის მონაცემების დამუშავების შეწყვეტაზე უარი თქვას იმავე ფორმით, რომლითაც პირდაპირი მარკეტინგი ხორციელდება ან დაუკავშირდეს თერმო ცენტრს შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@thermocenter.ge ან თერმო ცენტრის მომხმარებელთა დახმარების სამსახურის ნომერზე: +995 32 245 33 44

8. ვიდეო/აუდიომონიტორინგი

8.1 თერმო ცენტრში უსაფრთხოების და საკუთრების დაცვის, ასევე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 02 მარტის #101 დადგენილებისა და მომსახურების ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, მიმდინარეობს შენობის გარე პერიმეტრისა და შესასვლელების, დერეფნების მონიტორინგი ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით, ხოლო აუდიო ჩაწერა მიმდინარეობს თერმო ცენტრთან სატელეფონო კომუნიკაციისას.

8.2 მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით თერმო ცენტრის მომსახურების ადგილებში ვიდეოთვალთვალის და აუდიოჩაწერის მიმდინარეობის შესახებ, ასევე, თერმო ცენტრთან სატელეფონო კომუნიკაციისას სატელეფონო ზარების ჩაწერის შესახებ მონაცემთა სუბიექტი ინფორმირებულია კანონით გათვალისწინებული ფორმით.

8.3 თერმო ცენტრში აუდიომონიტორინგი ხორციელდება როგორც მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ასევე უპირველეს ყოვლისა მომხმარებელთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების სრულფასოვან აღსრულებაზე კონტროლის მიზნით. აუდიომონიტორინგზე მონაცემთა სუბიექტის ავტომატურ თანხმობად მიიჩნევა სატელეფონო საუბრის გაგრძელება.

8.4 ვიდეო ჩანაწერების შენახვა ხდება მყარი დისკის მოცულობისა და გამოსახულების ინტენსივობის შესაბამისად და არაუმეტეს 1 თვისა. ვიდეოჩამწერი მყარი დისკი მუშაობს გადაწერის რეჟიმში და ძველი მონაცემების წაშლა ხდება ახალი მონაცემების გადაწერის გზით.

8.5 თერმო ცენტრში ნებისმიერი სატელეფონო ზარის ჩანაწერის შენახვის ვადად განსაზღვრულია არაუმეტეს 5 (ხუთი) წელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიმდინარე სასამართლო დავისთვის საჭიროა ასეთი ჩანაწერების დადგენილ ვადაზე მეტი ხნით შენახვა.

8.6 ვიდეო/აუდიო ჩანაწერებზე წვდომა აქვთ ორგანიზაციის მხოლოდ იმ თანამშრომლებს, ვისაც აღნიშნული ესაჭიროებათ მათზე დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად.

9. პერსონალური მონაცემების მესამე პირებისთვის გადაცემა

9.1 თერმო ცენტრმა მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემები შესაძლოა მესამე პირებს გადასცეს შემდეგი მიზნებისათვის: მონაცემთა სუბიექტის სრულყოფილი მომსახურებისთვის, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, საქართველოს კანონმდებლობით თერმო ცენტრისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნით, ასევე სხვა კომპანიებთან, სახელმწიფო სექტორში მოქმედ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე თერმო ცენტრის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნებისათვის.

9.2 მესამე პირს წარმოადგენს თერმო ცენტრის პარტნიორი კომპანიები, სახელმწიფო სექტორში მოქმედი ორგანიზაციები, სს საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო.

9.3 თერმო ცენტრის მიერ პერსონალური მონაცემების მესამე პირებისათვის გადაცემის უფლებამოსილება კომპანიას გააჩნია კანონმდებლობით ან მონაცემთა სუბიექტთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე.

9.4 თერმო ცენტრის მიერ პერსონალური მონაცემების მესამე პირებისთვის გადაცემა ხდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

10. პერსონალური მონაცემების მესამე პირებისგან მოპოვება

10.1 კომპანიამ მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემები შესაძლოა მესამე პირებისგან მოიპოვოს შემდეგი მიზნებისათვის: მონაცემთა სუბიექტის სრულყოფილი მომსახურებისთვის, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, საქართველოს კანონმდებლობით კომპანიაზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნით, ასევე სხვა კომპანიებთან, სახელმწიფო სექტორში მოქმედ ორგანიზაციებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნებისათვის.

10.2 მესამე პირს წარმოადგენს თერმო ცენტრის პარტნიორი კომპანიები, სახელმწიფო სექტორში მოქმედი ორგანიზაციები, სს საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო.

10.3 თერმო ცენტრის მიერ პერსონალური მონაცემების მესამე პირებისგან მოპოვების უფლებამოსილება კომპანიას გააჩნია კანონმდებლობით ან მონაცემთა სუბიექტთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე.

10.4 თერმო ცენტრის მიერ პერსონალური მონაცემების მესამე პირებისგან მოპოვება ხდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

11. მონაცემთა უსაფრთხოება

11.1 თერმო ცენტრში მიღებულია მონაცემთა დამუშავების შესაძლო და თანამდევი საფრთხეების შესაბამისი ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს კომპანიაში მონაცემთა დაცვას მათი დაკარგვისგან, უკანონო დამუშავებისგან, მათ შორის განადგურებისგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისგან ან გამოყენებისგან.

11.2 „კომპანიაში“ მკაცრად არის დაცული პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობა. სუბიექტის მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს, ვისაც მონაცემების დამუშავება სჭირდებათ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად.

11.3 „კომპანიაში“ პერსონალური მონაცემების დაცვას, მათი დამუშავების პროცესის წინამდებარე პოლიტიკასთან, კანონმდებლობასთან და კომპანიის შიდა პროცედურებთან შესაბამისობის კონტროლს უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.

12. თანხმობა წინამდებარე პოლიტიკაზე

კომპანიის ვებგვერდზე შესვლითა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ პოლიტიკის ფაილზე თანხმობის გამოხატვით აგრეთვე კომპანიის ვებგვერდზე რეგისტრაციით თქვენ ადასტურებთ, რომ გაეცანით წინამდებარე „მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“-ს და ეთანხმებით თერმო ცენტრის მიერ „თქვენი“ პერსონალური ინფორმაციის დამუშავებას იმ ფორმითა და იმ მიზნებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია„მონაცემთა დაცვის პოლიტიკაში.

13. საკონტაქტო ინფორმაცია

თერმო ცენტრის მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@thermocenter.ge ან/და თერმო ცენტრის მომხმარებელთა დახმარების სამსახურის ნომერზე: +995 32 245 33 44

პოლიტიკის განახლება და დამატებითი ინფორმაცია

პოლიტიკის ეს დოკუმენტი ექვემდებარება საჭიროებისამებრ განახლებას.